პოლო ვალეხო (მადრიდი, 1959 წელი)

მუსიკალურ მეცნიერებათა დოქტორი, პარიზის „Polyphonies Vivants Association“-ის მკვლევარი, მონრეალის უნივერსიტეტის (კანადა) შედარებითი მუსიკოლოგიისა და მუსიკის ანთროპოლოგიის ლაბორატორიის წევრი, კარლ ორფის ფონდის სამხატვრო და სამეცნიერო მრჩეველი მიუნხენში (გერმანია). იგი ექსპერიმენტულ პედაგოგიკასა და მუსიკოლოგიაში საერთაშორისო დონეზე აღიარებული სპეციალისტია, რომელიც 1987 წლიდან იგი კვლევით სამუშაოებს აფრიკაში ატარებს. მისი ავტორობით შექმნილი დოკუმენტური ფილმი „აფრიკა: რიტმი“ ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე იქნა წარდგენილი და ჯილდოც მოიპოვა. ამჟამად იგი მუშაობს ტანზანიური ჩანაწერების შესახებ წიგნის გამოცემაზე. ის გახლავთ დიდაქტიკური კონცერტების შემქმნელი და პრეზენტატორი, რომელიც მთელს მსოფლიოში საერთაშორისო სამუსიკო ტრენინგ კურსებს ატარებს. ამჟამად იგი 2 ექსპერიმენტულ ნაშრომზე მუშაობს: ერთი - კედუგუს რეგიონში (სენეგალი) ბავშვების რეპერტუარის, ხოლო მეორე კი - სასულიერო და რელიგიურ ვოკალურ პოლიფონიის შესახებაა საქართველოში (კავკასია).